



## ეკონომიკა

**ეკონომიკური ზრდა:** საქსტატის წინასწარი მონაცემებით, 2023 წლის მაისში რეალური მშპ 7.0%-ით გაიზარდა, წინა თვის 7.5%-იანი ზრდის შემდეგ. ჯამურად, 2023 წლის იანვარ-მაისში საქართველოს ეკონომიკა წლიურად 7.5%-ით გაიზარდა. მაისში ზრდა დაფიქსირდა მშენებლობის, ინფორმაცია და კომუნიკაციის, ვაჭრობის, საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობის და ტრანსპორტის დარგებში. ამასთან, რეალური ზრდა შემცირდა დამამუშავებელი მრეწველობის და უძრავი ქონების დარგებში. მშპ-ის დეფლატორის მოსალოდნელზე სწრაფი შემცირების და პირველი კვარტლის დაზუსტებული მაჩვენებლის გათვალისწინებით, ჩვენ გავზარდეთ 2023 წლის ეკონომიკური ზრდის პროგნოზი 1.0პპ-ით 6.8%-მდე (იხილეთ განახლებული მაკრო პროგნოზები აქ).

**მიმდინარე ანგარიში:** სებ-ის მიხედვით, 2023 წლის I კვარტალში მიმდინარე ანგარიში დეფიციტი მნიშვნელოვნად, წლიურად 67.7%-ით. შემცირდა და მშპ-ის 3.2% შეადგინა (13.3% იყო 2022 წლის I კვარტალში). მიმდინარე ანგარიშის გაუმჯობესება ძირითადად მომსახურების (ტურიზმის შემოსავლები წლიურად 102.0%-ით გაიზარდა 795.4 მლნ აშშ დოლარამდე) და ტრასფერების ბალანსის (+36.1% წ/წ) მაღალმა ზრდამ განაპირობა. რაც შეეხება საქონლით ვაჭრობის უარყოფით ბალანსს, ის წლიურად 25.2%-ით გაიზარდა 1.3 მლრდ აშშ დოლარამდე, რადგან საქონლის ექსპორტი 24.2%-ით, ხოლო იმპორტი 24.6%-ით გაიზარდა. ამასთან, წმინდა პირდაპირი უცხოური ინვესტიციები (მშპ-ის 6.1%) 1.9-ჯერ აღემატებოდა მიმდინარე ანგარიშის დეფიციტს. პირველი კვარტლის მონაცემების და მიმდინარე საგარეო ნაკადების გათვალისწინებით, ჩვენი განახლებული პროგნოზით მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი მშპ-ს 3.8%-ის დონეზეა მოსალოდნელი 2023 წელს, რაც 1.6პპ-ით გაუმჯობესებაა ჩვენს წინა პროგნოზთან შედარებით.

**საბანკო სექტორი:** კომერციული ბანკების მიერ გაცემული სესხები წლიურად 6.1%-ით გაიზარდა 2023 წლის მაისში, წინა თვის 3.7%-იანი ზრდის შემდეგ და საკრედიტო პორტფელმა 45.7 მლრდ ლარი შეადგინა. ამასთან, გაცვლითი კურსის ეფექტის გამორიცხვით, მაისში სესხების პორტფელი წლიურად 12.8%-ით გაიზარდა, წინა თვის 13.2%-იანი ზრდის შემდეგ. სექტორების მიხედვით, კორპორატიული დაკრედიტების წლიური ზრდის ტემპი 10.2% იყო (+10.9% აპრილში), ხოლო საცალო დაკრედიტების წლიურმა ზრდამ 15.0% (+15.2% აპრილში) შეადგინა; აქედან, იპოთეკური სესხების პორტფელის წლიური ზრდა 11.8% იყო (+11.5% აპრილში). 2023 წლის მაისში სესხების დოლარიზაციამ 44.5% შეადგინა (-4.28პპ წ/წ და +0.56პპ თ/თ), ხოლო უმოქმედო სესხები 1.8%-ს გაუტოლდა (-0.16პპ წ/წ და +0.04პპ თ/თ).

2023 წლის მაისში საბანკო სექტორში განთავსებული დეპოზიტების ზრდა წლიურად 31.2%-მდე დაჩქარდა (კურსის ეფექტის გამორიცხვით) და 45.5 მლრდ ლარი შეადგინა, წინა თვის 28.7%-იანი ზრდის შემდეგ. ვალუტების მიხედვით, მაისში ლარის დეპოზიტების წლიური ზრდა 44.8%-მდე დაჩქარდა (+39.1% აპრილში), ხოლო უცხოური ვალუტის დეპოზიტების წლიური ზრდა 21.3%-მდე შენეულა (+21.5% აპრილში). შესაბამისად, მაისში დეპოზიტების დოლარიზაცია კიდევ შემცირდა და 50.5% შეადგინა (-7.66პპ წ/წ და -0.82პპ თ/თ).

### სებ-მა 2023 წლის მაისში 154.7 მლნ აშშ დოლარი შეისყიდა

სებ-მა 2023 წლის მაისში 154.7 მლნ აშშ დოლარი შეისყიდა BMatch პლატფორმის საშუალებით, წინა თვის 322.4 მლნ აშშ დოლარის რეკორდული შესყიდვის შემდეგ. ჯამურად, 2023 წლის იანვარ-მაისში, სებ-მა 937.6 მლნ აშშ დოლარი შეისყიდა.


გათხოვთ იხილოთ მნიშვნელოვანი შეტყობინება ამ დოკუმენტის ბოლო გვერდზე.

### ეკონომიკური ინდიკატორები

	2021	2022
რეალური მშპ-ს ზრდა	10.5%	10.1%
მშპ ერთ სულზე (ppp)	16,997	20,244
მშპ ერთ სულზე (აშშ \$)	5,023	6,672
მოსახლეობა (მლნ)	3.7	3.7
ინფლაცია, პერიოდის ბოლო	13.9%	9.8%
საერთ. რეზერვები (მლრდ აშშ \$)	4.3	4.9
მიმდ. ანგარ. დეფიციტი (მშპ-ს %)	10.4%	4.0%
ფისკალური დეფიციტი (მშპ-ს %)	6.1%	3.1%
სახელმწიფო ვალი (მშპ-ს %)	49.7%	39.8%
Fitch/S&P/Moody's*	BB/BB/Ba2	


წყარო: ოფიციალური მონაცემები, სარეიტინგო სააგენტოები, გალტი & თავარტი  
\*უახლესი საკრედიტო რეიტინგები

### მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი და წმინდა პირდაპირი უცხოური ინვესტიციები



წყარო: სებ, საქსტატი

### სებ-ის წმინდა სავალუტო შესყიდვები



წყარო: სებ



# ფულადი ბაზარი

**საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ობლიგაციები:** საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ 2023 წლის 27 ივნისს 5-წლიანი 90 მლნ ლარის (34.2 მლნ აშშ დოლარის) ოდენობის სახაზინო ვალდებულებები გაყიდა. ამასთან, მოთხოვნა 2.3-ჯერ მაღალი იყო და საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი წინა აუქციონთან შედარებით 0.17პპ-ით შემცირდა და 8.459% შეადგინა.


უახლესი აუქციონი დაგეგმილია 2023 წლის 4 ივლისს, სადაც 6-თვიანი 20 მლნ ლარის ნომინალური ღირებულების სახაზინო ვალდებულებები და 2-წლიანი 40 მლნ ლარის ნომინალური ღირებულების ბენჩმარკ ობლიგაციები გაიყიდება.

## სახაზინო ფასიანი ქაღალდები, 2023 წელი

ვალიანობა	გამოშვება წლის დასაწყისიდან მლნ ლარი	დარჩენილი გამოშვება მლნ ლარი	დარჩენილი ვალდებულება მლნ ლარი*
6-თვე	120	120	
1-წელი	120	120	420
2-წელი	256	240	
5-წელი	575	540	6,825
10-წელი	360	660	
<b>სულ</b>	<b>1,431</b>	<b>1,680</b>	<b>7,245</b>


წყარო: ფინანსთა სამინისტრო  
\* 2023 წლის მაისის მდგომარეობით

## სახაზინო ფასიანი ქაღალდების შემოსავლიანობის მრუდი




წყარო: სებ

## განხორციელებული ემისია და მოთხოვნა სახაზინო ფასიანი ქაღალდების ბოლო აუქციონებზე, მლნ ლარი




წყარო: სებ

## მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი, წლიური ინფლაცია და ლარის გაცვლითი კურსი



წყარო: სებ, საქსტატი

## ნომინალური და რეალური ეფექტური გაცვლითი კურსები



წყარო: სებ  
შენიშვნა: ინდექსის ზრდა/კლება ნიშნავს გაცვლითი კურსის გამყარებას/გაუფასურებას




## ობლიგაციები

**კორპორატიული ვერობლიგაციები:** საქართველოს კაპიტალის ვერობლიგაციებით (GEOCAP) ვაჭრობა დაიხურა ფასით 98.63 (+0.34% წინა კვირასთან შედარებით), 8.23%-იანი შემოსავლიანობით.

საქართველოს რკინიგზის ვერობლიგაცია (GRAIL) ივაჭრებოდა 86.11 ფასად (+0.14% წინა კვირასთან შედარებით), 7.40%-იანი შემოსავლიანობით.

**საქართველოს სუვერენული ვერობლიგაცია (GEORG)** დაიხურა ფასით 89.94 (-0.24% წინა კვირასთან შედარებით), 6.75%-იანი შემოსავლიანობით.

**ვერობლიგაციები (შემოსავლიანობა)**



წყარო: Bloomberg

### ქართული ობლიგაციების ძირითადი მონაცემები

გამომშვები	ვალუტა	მოცულობა, მლნ აშშ \$	კუპონი	დაფარვის თარიღი	რეიტინგები (Fitch/S&P/Moody /Scope)	საშუალო ფასი	საშუალო პროცენტი, %	Z-spread, bps
GEORG 04/26	USD	500	2.750%	Apr-26	BB/BB/Ba2	89.94	6.75	231.75
GRAIL 06/28	USD	500	4.000%	Jun-28	BB-/BB-/-	86.11	7.40	346.59
GEBGG 07/23	USD	350	6.000%	Jul-23	BB-/Ba2	99.82	8.90	n/a
GEBGG 11 1/8 PERP	USD	100	11.125%	n/a	B-/-/-	99.13	12.82	669.32
GEOCAP 03/24	USD	300	6.125%	Mar-24	-/B+/B1	98.63	8.23	277.01
SILKNET 01/27	USD	300	8.375%	Jan-27	B+/-/B1	98.58	8.85	460.05
TBC 06/24	USD	300	5.750%	Jun-24	BB-/Ba2	99.03	6.81	141.29
TBC PERP	USD	125	10.775%	n/a	B-/-/-	96.86	13.32	833.06

### ადგილობრივი ობლიგაციები


GLC	USD	12	5.75%	Jul-23	-/-/-	99.94	5.88	n/a
GLC	EUR	3	4.75%	Jul-23	-/-/-	99.99	4.75	n/a
Lisi Lake Development	USD	12	6.50%	Dec-24	-/-/B+	99.59	6.75	n/a
Lisi Lake Development	USD	10	8.50%	Dec-24	-/-/B+	n/a	n/a	n/a
IG Development	USD	15	6.75%	Jan-24	-/-/-	98.23	8.90	n/a
IG Development	USD	15	8.50%	Jul-24	-/-/-	99.80	8.65	n/a
Georgia Real Estate	USD	35	8.50%	Oct-24	-/-/-	99.78	8.65	n/a
Geo. Renewable Power Oper.	USD	80	7.00%	Oct-27	-/-/-	99.04	7.25	n/a
SRG Real Estate	USD	20	9.00%	Apr-26	-/-/-	n/a	n/a	n/a
Geosteel	USD	15	9.00%	Apr-25	-/-/-	n/a	n/a	n/a
Tegeta Motors	USD	20	8.50%	Apr-25	-/-/BB-	n/a	n/a	n/a
Tegeta Motors	EUR	5	7.00%	Apr-25	-/-/BB-	n/a	n/a	n/a
Geo. Beer Company	GEL	25	15.00%	Dec-23	-/-/BB-	n/a	n/a	n/a
Evex Hospitals	GEL	50	14.10%	Nov-24	-/-/BB	n/a	n/a	n/a
Nikora Trade	GEL	35	14.50%	Nov-24	-/-/B+	n/a	n/a	n/a
TBC Leasing	GEL	58.4	14.25%	Mar-26	BB-/B+	n/a	n/a	n/a

წყარო: Bloomberg



## აქციები

### საქართველოს ბანკის ჯგუფი (BGEO LN)




წყარო: Bloomberg

### საქართველოს ბანკის ჯგუფის

(BGEO LN) აქციები დაიხურა 29.25 ბრიტანულ ფუნტ სტერლინგში (GBP), -1.35% წინა კვირასთან შედარებით და -4.72% გასულ თვესთან შედარებით. ვაჭრობის მოცულობამ 473 ათას აქციაზე მეტი შეადგინა, GBP 29.05 - 31.55 დიაპაზონში. ბოლო 4 კვირის განმავლობაში, საშუალო დღიური ვაჭრობის მოცულობამ 86 ათასი აქცია შეადგინა.

### თიბისი ბანკის ჯგუფი (TBCG LN)




წყარო: Bloomberg

### თიბისი ბანკის ჯგუფის (TBCG LN)

აქციები დაიხურა 24.70 ბრიტანულ ფუნტ სტერლინგში (GBP), -1.79% წინა კვირასთან შედარებით და +4.88% გასულ თვესთან შედარებით. ვაჭრობის მოცულობამ 121 ათას აქციაზე მეტი შეადგინა, GBP 24.45 - 25.50 დიაპაზონში. ბოლო 4 კვირის განმავლობაში, საშუალო დღიური ვაჭრობის მოცულობამ 49 ათასი აქცია შეადგინა.

### საქართველოს კაპიტალი (CGEO LN)



წყარო: Bloomberg

### Georgia Capital-ის (CGEO LN)

აქციები დაიხურა 8.31 ბრიტანულ ფუნტ სტერლინგში (GBP), -1.66% წინა კვირასთან შედარებით და +0.73% გასულ თვესთან შედარებით. ვაჭრობის მოცულობამ 225 ათას აქციაზე მეტი შეადგინა, GBP 8.20 - 8.45 დიაპაზონში. ბოლო 4 კვირის განმავლობაში, საშუალო დღიური ვაჭრობის მოცულობამ 32 ათასი აქცია შეადგინა.



## აქციები

### აღმოსავლეთ ევროპის ბანკები

	ტიკერი	ვალუტა	აქციის ფასი	კაპიტ ალიზ.	6 თვე, ცვლ.	წ/წ ცვლ.	წლის დას.	P/E			P/B		
								2022	2023F	2024F	2022	2023F	2024F
Bank of Georgia	BGEO	GBP	29.25	1,360	12.3%	124.0%	12.3%	2.74x	4.13x	3.86x	0.90x	0.83x	0.71x
TBC	TBC	GBP	24.70	1,358	8.8%	95.4%	8.8%	4.10x	4.39x	3.84x	1.04x	0.99x	0.84x
Halyk Bank	HSBK	USD	14.04	3,829	26.5%	40.4%	26.5%	2.69x	2.73x	2.44x	0.78x	0.74x	0.62x
Akbank	AKBNK	TRY	20.20	105,040	3.3%	151.9%	3.3%	1.40x	2.52x	2.30x	0.55x	0.59x	0.49x
Garanti	GARAN	TRY	32.04	134,568	6.7%	130.5%	6.7%	1.91x	3.06x	2.53x	0.73x	0.72x	0.59x
Isbank	ISCTR	TRY	14.06	140,600	10.1%	221.0%	10.1%	0.84x	2.80x	2.53x	0.60x	0.63x	0.51x
PKO	PKO	PLN	36.15	45,188	19.3%	29.1%	19.3%	10.98x	6.71x	6.85x	1.03x	1.06x	1.00x
PEKAO	PEO	PLN	110.80	29,082	28.1%	35.9%	28.1%	na	5.74x	6.62x	na	1.05x	1.00x
Millennium	MIL	PLN	5.76	6,987	25.8%	48.2%	25.8%	na	2.42x	3.16x	1.04x	1.10x	0.92x
Mbank	MBK	PLN	406.10	17,232	37.2%	80.8%	37.2%	na	3.74x	5.53x	1.10x	1.00x	0.92x
BRD	BRD	RON	13.22	9,213	1.7%	4.8%	1.7%	6.81x	6.15x	6.59x	1.31x	1.12x	1.09x
Banca Transilvania	TLV	RON	20.74	14,677	4.1%	4.3%	4.1%	na	6.28x	6.01x	1.60x	1.29x	1.15x
Komercni	KOMB	CZK	664.50	126,288	1.5%	0.3%	1.5%	8.36x	8.29x	8.42x	1.21x	0.97x	0.93x
<b>Mean</b>								<b>4.42x</b>	<b>4.54x</b>	<b>4.67x</b>	<b>0.99x</b>	<b>0.93x</b>	<b>0.83x</b>
<b>Median</b>								<b>2.74x</b>	<b>4.13x</b>	<b>3.86x</b>	<b>1.04x</b>	<b>0.99x</b>	<b>0.92x</b>

წყარო: Bloomberg, S&P Capital IQ

### ინვესტიციების მართვის შესადარი კომპანიები

	ტიკერი	ვალუტა	აქციის ფასი	კაპიტ ალიზ.	6 თვე, ცვლ.	წ/წ ცვლ.	წლის დას.	P/E			P/B		
								2022	2023F	2024F	2022	2023F	2024F
Georgia Capital	CGEO	GBP	8.31	366	13.8%	37.1%	13.8%	na	na	na	0.38x	na	na
Tinc Comm	TINC	EUR	12.00	436	-4.0%	-8.8%	-4.0%	18.33x	na	na	0.99x	na	na
Sabancı Holding	SAHOL	TRY	46.02	93,899	2.1%	143.4%	2.1%	1.77x	3.65x	2.46x	0.77x	0.54x	0.45x
Deutsche Beteiligungs	DBAN	EUR	28.90	543	3.6%	14.2%	3.6%	na	5.40x	5.16x	1.00x	0.82x	0.73x
Eurazeo	RF	EUR	64.45	5,106	10.9%	9.1%	10.9%	8.89x	9.71x	8.32x	0.78x	0.65x	0.59x
Carlyle Group	CG	USD	31.99	11,585	7.2%	1.1%	7.2%	8.50x	11.08x	7.85x	1.70x	2.06x	1.56x
Wendel SE	MF	EUR	94.00	4,174	7.8%	17.9%	7.8%	6.63x	7.66x	7.55x	na	1.29x	1.16x
HgCapital Trust	HGT	GBP	3.71	1,696	5.7%	12.1%	5.7%	na	na	na	na	na	na
NB Private Equity Partners	NBPE	GBP	15.02	655	-6.1%	1.1%	-6.1%	na	na	na	na	na	na
Oakley Capital Investments	OCI	GBP	4.40	781	4.8%	14.2%	4.8%	na	na	na	na	na	na
Princess Private Equity	PEY	EUR	10.35	716	22.6%	-14.8%	22.6%	na	na	na	0.65x	na	na
Symphony International Holding	SIHL	USD	0.43	219	-4.7%	-4.0%	-4.7%	na	na	na	0.47x	na	na
<b>Mean</b>								<b>8.82x</b>	<b>7.50x</b>	<b>6.27x</b>	<b>0.84x</b>	<b>1.07x</b>	<b>0.90x</b>
<b>Median</b>								<b>8.50x</b>	<b>7.66x</b>	<b>7.55x</b>	<b>0.78x</b>	<b>0.82x</b>	<b>0.73x</b>

წყარო: Bloomberg, S&P Capital IQ



# მნიშვნელოვანი შეტყობინება

ეს დოკუმენტი არის სს "გალტ ენდ თაგარტის" ("Galt & Taggart"), რომელიც არის სს საქართველოს ბანკის ჯგუფის ("ჯგუფი") წევრი, საკუთრება და მომზადებულია Galt & Taggart-ის მიერ, მხოლოდ საინფორმაციო მიზნებისთვის და მასში ნახსენები კომპანიებისგან დამოუკიდებლად. ეს დოკუმენტი არ წარმოადგენს რაიმეს ნაწილს და არ უნდა იქნას განხილული, როგორც შეთავაზება ან კლიენტების მოზიდვა ან მოწვევა რაიმე აქტივების ყიდვისთვის ან გაყიდვისთვის, ან გამოწვევისთვის და ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ ქმნის საუქმველს კონტრაქტისთვის ან ვალდებულებისთვის და არ შეიძლება განხილული იყოს, როგორც რეკომენდაცია რაიმე მსგავსი ქმედებისთვის.

გალტ ენდ თაგარტი უფლებამოსილია აწარმოოს პროფესიონალური აქტივობა საქართველოს ბაზარზე. ამ დოკუმენტის ცირკულირება გარკვეული იურისდიქციების ფარგლებში შეიძლება აკრძალული იყოს კანონით. პირებს, რომელთა მფლობელობაშიც ეს დოკუმენტი აღმოჩნდება, გალტ ენდ თაგარტისგან მოეთხოვებათ დაიცვან ყველა ის შეზღუდვა, რომელიც მოქმედებს მათ მიმართ. ეს დოკუმენტი არ არის განზრახული გავრცელებისთვის, პირდაპირ ან ირიბად, ან გამოყენებისთვის ნებისმიერი პირის ან ორგანიზაციის მიერ, რომელიც არის რაიმე ადგილის, სახელმწიფოს ან სხვა რაიმე იურისდიქციის მფლობელი ან მოქალაქე, სადაც ამგვარი გავრცელება, პუბლიკაცია, ხელმისაწვდომობა ან გამოყენება კანონის ან რეგულაციის საწინააღმდეგო იქნებოდა ან რომელიც მოითხოვდა რეგისტრაციას ან ლიცენზირებას ამგვარი იურისდიქციის ფარგლებში.

ინვესტიციები (ან მოკლევადიანი გარიგებები) განვითარებად ბაზრებზე დაკავშირებულია მნიშვნელოვან რისკთან და მერყეობასთან და შეიძლება არ იყოს ყველასთვის შესაფერისი. ამ დოკუმენტის მიმღებმა პირებმა უნდა მიიღონ საკუთარი საინვესტიციო გადაწყვეტილებები, რომლებიც მათ მიერ იქნება სწორად, მათ საკუთარ ამოცანებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე დაყრდნობით. ამ პროცესში ამგვარი მიმღები პირები დარწმუნებული უნდა იყვნენ თავიანთ ქმედებებში, როცა ახორციელებენ რისკების შეფასებას, რომლებიც დამახასიათებელია განვითარებად ბაზრებზე ინვესტირებისთვის, მათ შორის პოტენციური პოლიტიკური და ეკონომიკური არასტაბილურობა, სხვა პოლიტიკური რისკები, კერძოდ, ცვლილებები კანონებში და ტარიფებში, აქტივების ნაციონალიზაცია და ვალუტის გაცვლითი კურსის რისკი.

გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩევლების ან აგენტების, ან რომელიმე სხვა პირის მიერ არ მომხდარა რაიმე რწმუნების, გარანტიის ან ვალდებულების წარდგენა ან აღება, აშკარად გამოხატულის ან ნაგულისხმევის, და ამ დოკუმენტს არ აქვს პრეტენზია მასში არსებული ინფორმაციის უტყუარობაზე, სისწორეზე და ამომწურავობაზე (და იმაზე, რომ რაიმე ინფორმაცია არ არის გამოტოვებული ან დოკუმენტიდან) და არ შეიძლება მასზე დაყრდნობა. ეს დოკუმენტი არ უნდა განხილულა, როგორც ბაზრების, ინდუსტრიების და/ან კომპანიების სრული აღწერა, რომლებიც მასში არის ნახსენები. ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ წარმოადგენს სამართლებრივ, საინვესტიციო, ბიზნეს ან საგადასახადო რჩევას, წარსულის ან მომავლის მიმართ, გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩევლების ან აგენტების მხრიდან. დოკუმენტის მიმღებებს მოეთხოვებათ ჩაატარონ მათი საკუთარი დამოუკიდებელი კვლევა და შეფასება ამ დოკუმენტში განხილულ საკითხებთან დაკავშირებით. ნებისმიერი საინვესტიციო გადაწყვეტილება მიღებული უნდა იქნას მხოლოდ ინვესტორის პირადი შეხედულებით. კანონის თანახმად, გალტ ენდ თაგარტი ან ჯგუფის რომელიმე წევრი ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩევლები ან აგენტები პასუხისმგებლობას არ იღებენ ნებისმიერ ვალდებულებაზე რაიმე ზიანის ან ზარალის მიმართ, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას, პირდაპირ ან ირიბად, ამ დოკუმენტის ან მისი შინაარსის რაიმე გამოყენების შედეგად, ან რაიმეწინააღმდეგო უკავშირებლობის ან დოკუმენტს, ან რაიმე ქმედების, ან უმოქმედობის შედეგად რომელიმე მხარის მიერ, ამ დოკუმენტის საფუძველზე.

ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაცია ექვემდებარება შემოწმებას, სრულყოფას და ცვლილებას შეტყობინების გარეშე და გალტ ენდ თაგარტს არ აქვს რაიმე ვალდებულება ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის განახლების ან აქტუალურობის შენარჩუნების მიმართ. ამ დოკუმენტის მიწოდება არც ერთ შემთხვევაში არ ნიშნავს იმას, რომ არ მომხდარა ინფორმაციის ცვლილება ამ დოკუმენტის თარიღის შემდგომ ან იმ თარიღის შემდგომ, როდესაც ეს დოკუმენტი უკანასკნელად განახლდა, ან რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია უტყუარია რაიმე პერიოდისთვის იმ თარიღის შემდეგ, როდესაც მისი მიწოდება მოხდა, ან, თუ განსხვავებულია, ამ დოკუმენტში მითითებული თარიღის შემდეგ. გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩევლების ან აგენტების მიერ არ გაკეთდა რაიმე რწმუნება ან გარანტია, აშკარად გამოხატული ან ნაგულისხმევი ამ ინფორმაციის სისწორესთან და ამომწურავობასთან დაკავშირებით.

ამ დოკუმენტში მოწოდებული ინფორმაცია და გამოთქმული მოსაზრებები ემყარება ინფორმაციას, რომელიც ხელმისაწვდომი იყო გამოცემის თარიღისთვის და წარმოადგენს მხოლოდ გალტ ენდ თაგარტის შიდა კვლევის ნაწილს. მოსაზრებები, პროგნოზები და შეფასებები, რომლებიც მოცემულია მასში, მიღებულია მესამე მხარის წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ და კეთილსინდისიერად, და შეიძლება შეიცვალოს შეტყობინების გარეშე. მესამე მხარის პუბლიკაციები, კვლევები და გამოკითხვები ზოგადად აჩვენებს, რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია მიღებულია წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ, მაგრამ არ არსებობს ამ მონაცემების სისწორის და ამომწურავობის გარანტია. შესაბამისად, არ შეიძლება დაყრდნობა ნებისმიერ იმ მონაცემზე, რომელიც მოცემულია ამ დოკუმენტში. არც გალტ ენდ თაგარტი, არც ჯგუფის რომელიმე წევრი, ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩევლები ან აგენტები არ გასცემენ რაიმე რწმუნებას ან გარანტიას, აშკარად გამოხატულს ან ნაგულისხმევეს, ამ დოკუმენტის სარგებლიანობაზე მომავალი საქმიანობის პროგნოზირების საკითხში, ან რომელიმე ფასიანი ქაღალდის ან აქტივის მიმდინარე ან მომავალი ღირებულების შეფასებაში.

გალტ ენდ თაგარტს და ჯგუფის ნებისმიერ წევრს შეიძლება ჰქონდეს ბიზნესი ან ცდილობდეს ბიზნეს-ურთიერთობის დამყარებას კომპანიებთან, რომლებიც მოცულნი არიან ამ კვლევაში. შედეგად, ინვესტირებმა უნდა იცოდნენ ინტერესთა პოტენციური კონფლიქტის შესახებ, რომელსაც შეუძლია გავლენა მოახდინოს ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის ობიექტურობაზე.

ამ დოკუმენტის ან მისი ნებისმიერი ნაწილის უნებართვო კოპირება, გავრცელება, პუბლიკაცია ან განმეორებითი გადაცემა რაიმე მდელით ან რაიმე ფორმით ნებისმიერი მიზნისთვის მკაცრად აკრძალულია.

ამ დოკუმენტის მიმღები პირები პასუხისმგებელნი არიან ვირუსების და სხვა დესტრუქციული მოვლენებისგან დაცვაზე. ელექტრონული გადაცემის მიღება ხდება მიმღები პირის საკუთარი რისკის ხარჯზე და წარმოადგენს მის პასუხისმგებლობას, მიიღოს ზომები, რომ ვირუსებისგან და სხვა დესტრუქციული მოვლენებისგან უზრუნველყოს დაცვა.

**გალტ ენდ თაგარტი**  
**მისამართი:** პუშკინის ქუჩა 3ა, თბილისი, 0105, საქართველო  
**ტელ:** + (995) 32 2401 111  
**ელ. ფოსტა:** researcht@gt.ge